



წახ. მ. აბაშიძისა
ზოგიერთ მაღალმიან სოფელში ჭერ კიდევ მოუწყობელი და დაუმთავრებელი კლუბი აქვთ.

— ზამთარი პარს მოგვადგა და სოფარ დაგვეხურა ეს საზღვრუ.
ლო კინოთეატრი, ვასილიჩი!



წამალი

ლამის ორი საათი იქნებოდა, დაღლილ-დაქანცულ შუშანიკს რომ ჩაეძინა და გაისმა კიდევ მანქანის გამაყრუებელი პიპინი. პიპინს მოჰყვა ლაწალაწი, ეტყობა, შეწუხებულმა მცხოვრებლებმა მანქანას ბოთლები დაუშინეს და ატყდა ლანძღვა-გინება. როგორც იქნა, სმაურით გაიღო ავტოტექნომსახურების ალაყაფის კარი და მანქანა შეუშვეს. „ამით რომ დამთავრდებოდეს, რა მიჭირს“, — გაიფიქრა შუშანიკმა და თავი ბალიშზე მიდო. ავტოსადგომის გადატვირთვის გამო მის მეზობლად მდებარე ავტოტექნომსახურების ტერიტორიაც ღამ-ღამობით მანქანების სადგომად ქირავდებოდა და ასეთი პიპინი აქ სმირი იყო.

შუშანიკმა შიშით გადახედა ლოჯიის მხარეს მძინარე ქმარს, ხომ არ გაეღვიძაო. ნებიერი ფშვინვა შეშფოთების მიზეზს არ იძლეოდა.

ის იყო, შუშანიკმა ჩათვლიდა, რომ უეცრად ღამის სინკემეში ზუსტად მის ფანჯრებთან ლოთების ღრიალი გაისმა. შუშანიკს გულმა ფრიალი დაუწყო, უეცარმა ვალვიკებამ იმოქმედა, ადგა, ვალერიანის წვეთები მიიღო და ფანჯარაში გადაიხედა. ხელისხელგადახვეული ძმაბიჭები თავგანწირვით ბლაოდნენ. ეტყობა, გარაჟის ძაღლებს არ მოეწონათ მთვრალეების არეული სმები და თვითონ ატყეს ერთხმად ყურისწამლები ღავლაში. „უნდა მივხურო ფანჯარა, ქმარი არ გააღვიძოს“, — გაიფიქრა შუშანიკმა, თუმცა მონოტონური სვრინვა, რომელსაც შუშანიკი დიდი ხანია შეეჩვიოდა, განგაშის საბაბს არც ახლა იძლეოდა.

ძაღლების სმა თანდათან მიწყდა და შუშანიკმა ჩათვლიდა, რომ მაშინვე რაღაც დეტექტორი სიზმარი ნახა: თითქოს ვიღაც მანქანით მიქროდა და უფსკრულის პირას საშინელი ხმით დაამუხრუჭა. შუშანიკი დაფეთებულნი წამოსტა, იმდენად ცხადი იყო ღრჭიალის სმა. სუთსართულიან სახლში ათსართულიანი გინება და ქალის კვილი რომ შეიჭრა, მაშინ მიხვდა შუშანიკი, რომ სინამდვილესთან ჰქონდა საქმე. „დაიწყო“, — გაიფიქრა წამებულმა და ლოჯიის ფანჯრები საგულდაგულოდ დაგმანა. თენდებოდა და ახლა ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი ასეთი უეცარი დამუხრუჭებები და გაბმული სიგნალები, ვინაიდან ავტოტექნომსახურებასთან სარემონტო მანქანები იყრიდნენ თავს და ისედაც ვიწრო ქუჩაზე გასასვლელს აღარ უტოვებდნენ სხვა ტრანსპორტს, რაც სულწასულ მძღოლებში სათანადო რეაქციას იწვევდა. შუშანიკმა თვალი გააპარა ქმრისაკენ. იგი მშვიდად სვრინავდა. საათი ექვსს უჩვენებდა, თვალის მოტყუება კიდევ შეიძლებოდა, — გაიფიქრა წამებულმა, მაგრამ ის იყო მიწვა, რომ სააბაზანოდან ონკანის ისეთი გამაყრუებელი სმა გაისმა — ავბედითი სირენა გეგონებოდათ. მართალია, ეს იმის სასინარულო ნიშანი იყო, რომ მალე წყალიც წამოწვეთავდა, მაგრამ გაძლება არ გინდოდა?! სირენა არ ცხრებოდა.

ქმარი შეიმშუშნა... შუშანიკს ელდა ეცა! მაინცდამაინც ამ შინაურ სმაზე რომ გაღვიძებოდა, მას დაბრალდებოდა. საბედნიეროდ ქმარმა მხოლოდ ბანჯგვლიანი

მკერდი მოიფხანა და გვერდი იცვალა. ონკანის ხმაზე ისე შეეჩვიო შუშანიკი, რომ წასთვლიდა კიდევ მაგრამ რა დროს თავზარდამცემმა სმაურმა დააწყვიტინა თვალები: ვედროზე რკინის ნატეხის გაავებული ცემით მენაგვე დიასახლისებს თავისკენ უხმობდა.

შუშანიკი ახლა ისე წამოფრინდა, ქმარიც კი დაავიწყდა და წინასწარ გამზადებულ ვედროებს დაავლო ხელი, მალე მისი ფლოსტების ფრატაფრუტი იკლებდა სადარბაზოს, — ხუმრობა ხომ არ იყო, დროზე უნდა ჩაესწრო აზიზასთვის, თორემ მენაგვეს ამდენი კი არ ეცალა, დაქოქავდა მანქანას და ჰაიდა, ელოდე მერე კიდევ ერთი კვირა.

სუთი წუთის შემდეგ, როცა თმაგანწილი დედაკაცები სახლებში შელაგდნენ, შუშანიკიც შეიპარა ფესაკრეფით და კვლავინდებურად მხვრინავ ქმარს ოცდასუთი წლის მანძილზე პირველად გადახედა შურით. დაწოლას აზრი აღარ ჰქონდა, მაინც ვერ დაიძინებდა, სამზარეულოში ჩაიძუნდა, რომ ამ დროს, თითქოს მეორედ მოსვლაო, ისეთმა ჯახაჯუხმა წამოავდო. ვიღაც მის კარს დაჟინებთ ენეთქებოდა. შუშანიკი გულამოვარდნილი ეცა კარს და... — გოჭების ვედრო ჩქარაო, დასჭეჭა ვიღაც გამურულმა ბიჭმა.

შუშანიკი ლოჯიაში გაიჭრა, იქიდან კაი მოწინავე მერგოლურივით პირთამდე სავსე ორი ვედრო გამსმარი პური გამოარბენინა და ბიჭს ფარული სიამაყით გადასცა, — ეს რა არისო, — იყვირა მომხდურმა, — შმორიანი პური ვაჭამო გოჭებს? ხომ დაიხოცნენო! — დალოცვილო, თუ თვეში ერთხელ მოხვალ, დაობდება პური, აბა რას იზამსო! — უპასუხა რეკლამაციით ნაწყენმა შუშანიკმა. ჰოდა, ამის შემდეგ სულაც არ ამოვალ, თქვენ თვითონ ჩამოიტანთ ძირს „კორმსაო“, — შეუღრინა ბიჭმა.

შუშანიკი ოთახში შებრუნდა, ცვლილება რომ ვერ შენიშნა ქმრის პოზაში, ბარემ ბაზარშიც წავალო, გადაწყვიტა. სანოვაგით დატვირთულმა და სვითქადადენილმა აღმართი რომ ამოიარა და სართულები დაძლია, ძაღლონგამოლეული კართან ჩაიკეცა და ღრიალიც მოესმა: — რას დაფლატუნობ, ქალო, ჩაი რატომ არ გამიმზადეო! შუშანიკმა დაყარა ჩანთები და გახჭურას ეცა: — ახლავე, მანამდე შენ გაზეთებს გადაავლე თვალიო, და ახალამოტანილი პრესა საწოლთან დაუწყო ქმარს; მაგრამ სამზარეულოში რომ გავიდა, ონკანის ბუყბუყს მოჰკრა ყური. „შეწყდა“, — ტრაგიკულმა აზრმა გაუელვა შუშანიკს. მართლაც, გარიჟრაჟზე ასეთი რისხით წამოსული წყალი სადღაც გამქრალიყო. წამებულმა ჩუმად სარეზერვო ჭურჭლიდან გადმოასხა წყალი ჩაიდანში და ფაციფუცით ახლა საუზმის მზადებას შეუდგა.

— ახლა ეს სამართალია? შენც შუშანიკი უნდა გერქვას და ამ საცოდავსაც? — მოესმა ქმრის სმა, რომელიც გაზეთს ჩასცქეროდა, — ამას როგორ აწამებდა მხეცი ვარსქენი და შენ კი ხელისგულზე გატარებ, ხედავ, რა შესძლება ცივილიზაციას, როგორი ჰუმანურები ვავნდით?

შუშანიკს ჭიჭა გაუვარდა ხელიდან და „ვაიმეო“ აღმოსნა დამდულრულს.


— რა იყო, შე უქნარა, თორემ ტყუილს ვამბობ! — დაიბუნუნა ნაწყენმა ქმარმა, გაზეთი მიაგლო და მაგიდას მიუჯდა.

შუშანიკმა კვნესით გაშალა სუფრა და გაზეთს გააყოლა თვალი. პრესა იუწყებოდა, რომ „შუშანიკის წამების“ დაწერიდან ათას ხუთასი წელი იყო გასული.

ირაკლი ყიფიანი

ილუსტრაცია დ. პრისტავისა

ნ.ბ. შირაზი გამაძინა



ჭ. 14.


— ბიკენტოვიჩი, ხომ დადიხართ სა-
ბავშვო ბაღში?
— კი, ხუთი დღე, შაბათსა და კვი-
რას ვისვენებ!

ნ.ბ. ნინო სენიაშვილისა



თანავტორები

მეც ვურევივარ ხალხში, მეც მქვიან დედაკაცი,
ვიცი ქმარ-შვილის ყადრი და დედამთილის ფასი.
სამზარეულო საქმე? — მე ჩემს თავს აღარ ვიქებ,
ამის შესახებ, მოდიოთ, მუღს და დედამთილს ჰკითხეთ!
მარტო ერთს დავასახელებ, მარტო ერთს ვიტყვი ახლა,
მოგენატრებათ ბევრჯერ, მე რომ ლობიოს ვხარშავ!..
პიტნით, ქინძით და ქონდრით გემოს დავუყენებ ისეთს,
სტუმარი თუ არ გაფრთხილდა, ვიცი, ჩაიკვნეტს თითებს!..
მაგრამ ეს რაა! არ ღირს!.. მე სხვა სიკეთე მჭირს;
დიდი ხანია ვგრძნობ ჩემში პოეტურ ნიჭს!..
და ერთ დღეს ჩემი ხელნაწერები (ნაღვაწი ორი წლისა)
წავუღე კეთილ რედაქტორს (ნაცნობს ძმის ცოლისძმისა).
არ გაუვლია. დიდხანს, დაახლოებით ორ წელს,
რომ ძვირფას ყდაში ჩასმული კრებული ხელში მომცეს!..
გახარებულმა მეუღლემ მკლავი მომხვია ნაზად,
დასასვენებლად საგზური ტკბილად შემომთავაზა.
ის იყო, ფიქრი დავიწყე მე კურორტ იალტაზე,
ვილაცამ ჩემი წიგნის აუგი ღამცა თავზე!..
ჩამშხამდა სიხარული!.. ნეტავ, რატომ და რაზე?
ამ ელდამ გულწასული გამშხლართა იატაკზე!..



ჩემს წიგნზე ცუდის დამწერს ჰქონდა რამ კაცებრივი?
ყდა ღირს დასანახავად, არაჩვეულებრივი!
მეუღლემ მითხრა ისევ მე სიტყვა საწუგეგმო:
„ფარ-ხმალს ნუ დაჰყრი! წერე, ჩემო ძვირფასო ტასო!
ნუ დაივიწყებ ანდაზას, რომ ვინც რა უნდა თქვასო,
წისქვილი მაინც რომავს, წისქვილი მაინც ფქვავსო!..
გულამოსკვნილი ვტირი, თვალთავან ცრემლი მაწვიმს.
რად არ დამინდე, ბედო?! რად, სოფელო, სხვა არ
დასწავი?!

კალამიც გასტეხია, ვინც ლექსი დამიწუნა,
შემდეგი წიგნის იმედი სულ მთლად გადამიწურა!..
რას მიზამს კრიტიკოსი? არსაქნელს მაქნევიანებს?
გულს ამიცრუებს ლექსზე და უარს მათქმევიანებს?
უჯობდა, მოელოცა ჩემთვის თუნდ ერთი ვარდით!
რაო, აღარ დაწეროს ლექსიო? ვერ მივართვი!

ლალი მარტაშვილი
ილუსტრაცია ჯ. ლოლუასი

გაგონიანობა

დაბრუნება



ს. იუსუფოვი
(ჩეჩენ-ინგუშეთის ასსრ)

ღირსმოღობა თავის ერთადერთ ვაჟს ქორწილს უმართავდა. ოჯახის პატრონს იმდენი ქალიშვილი ჰყავდა, ვერც კი დათვლიდი. ბევრი ხალხი შეიკრიბა. ლამაზი ხანაზავი იყო ფართო საზეიმო ფუსფუსი. ორ ოთახში განურებული ქეიფი იყო. მესამეში შესაღწევად ქალები რიგში ჩამდგარიყვნენ, წყენას არ იმჩნევდნენ და მოჩვენებითი მსიარულებით პატარძალს ლოცავდნენ. ყოველი შემსვლელის გულში ჩაკვრას ვერც კი ასწრებდა ასალგაზრდა დედამთილი მარხა.

ოთახში, ხის საწოლზე, 70 წელს გადაცილებულ დედამთილის დედამთილს, ნაფისეთს, მოერთხა ფეხები, მის გვერდით შვილიშვილი თოითა მიყუჟულიყო. მათ უნდა დაემახსოვრებინათ, ვინ რა საჩუქარი მოიტანა. მართალია, მარხას ჩაწერილი ჰქონდა, ვის რა საჩუქარი მიართვა თავის დროზე, მაგრამ მაინც თავის დაზღვევის მიზნით დასხა ეს „აღმრიცხველები“.

უამრავი საჩუქარი შემოდიოდა. შუადღემდე 15 დიდი და პატარა ხალიჩა მოგროვდა, 20 საბანი, ქსოვილის ნაჭრები, ყველა სახის ავეჯი და მისთანები.

ხშირ-ხშირად ჩასწურჩულებდა მარხა თავის დამხმარეებს:

— რაზე ხომ არ შეგეშალათ?

მოსუც ნაფისეთს სმენა ღლატობდა, თოითაც გადაიღალა. ბებიას ჩურჩულს კარგად ვეღარ აღიქვამდა თოითა, რაზე არ გამომჩნესო, შეშინებულმა დედას კალამი და ქაღალდი ხანოვა, დედამ თვალები დაუბრიალა!..

მოსალამოვდა. მექორწილენი დაიშალნენ. ყმაწვილებმა პატარძალი ტრადიციისამებრ წყალზე წაიყვანეს, შემდეგ კი ისინიც ერთმანეთს გამოეშვიდობნენ. იმ ქალებმააც კი რომლებსაც შინ მაინცდამაინც არ ეჩქარებოდათ, მექორწილენი დატოვეს.

მარხამ საჩუქრების დათვალაობა დაიწყო, რძალს ნაფისეთიც ვხმარებოდა. ერთერთი ხალიჩა იატაკზე რომ გაშალა, ფიცხლად ქმარი იხმო და ხანამ ის შემოვიდოდა დაიწყო:

ქორწილის შედეგ

მ ო თ ს რ ო ბ ა

— აპა, მიიღე! როცა შენი ბიძაშვილის ვაჟისთვის სამშობიარ ქართულ ხალიჩას ვყიდულობდი, გეუბნებოდი არ გინდა. მსგავსს არ დაგვიბრუნებენ-მეთქი. მითქვამს თუ არა მართალი? ორშობიარნი ხალიჩა მოგართვეს. რაღაც ძონძია, ამასთან შედეგბილიც არ არის ხეირიანად! არამი იყოს მათთვის ჩემი შიტანილი საჩუქარი!

— ალბათ ვერ იშოვეს უფრო დიდი! — სცადა ღირსმოღობამ თავისი ბიძაშვილის დაცვა.

მარხა მოთმინებიდან გამოვიდა: — იშოვიდნენ, აუცილებლად იშოვიდნენ შალისის ბაზარზე, ქისისთვის პირი რომ მოეხსნათ!



ტყუოდა ღირსმოღობა, რადგან არ დაუჯერა ოჯახის დედაბოძს. თუმცა როდის იყო, ცოლს ჰკუას ეკითხებოდა?! სირცხვილიც განსლდათ, ჩინური კიტრის მსგავსი ცხვირის, ჩალის კონასაკით გრძელი, თამბაქოს ბოლი. ხაგან შეყვითლებული უღვაშებისა და მარქენალი ხარისოდენა თვალების პატრონისათვის ცოლის ჰკუას აპყოლოდა. მაგრამ ახლა სათქმელი არაფერი ჰქონდა და პირდაღებული იდგა.

გაცოფებულმა მარხამ გარდერობთან მიყარა ხალიჩები. იმათში ორი ამათი გასა-

ჩუქრებულებიც ვრია — უკან მოებრუნებინათ. უნდა გენახათ მარხა, როცა საბნებს არჩევდა. აბრეშუმის საბანი, მან რომ მარშან თავისი დის მულიშვილის ცოლის დისწულს ანუქა, უკან უშალითოდ მოეტანათ. თქმა არ უნდა, იმათ სინდისი მთლად დაპყაროდათ. გაფითრდა მარხა, გაშავდა, ენა ჩაუვარდა, ხვლიკივით ჭრელი თვალები ქმარს დაასოდა და გახევდა. ღირსმოღობა მიხვდა ამას და ისეთი სიცილი აუტყდა, ავღოტია ნიკიტინა დაგავიწყდებოდათ.

— მგონი, ჩემიანებსაც გადაახტნენ, ქალო, ის შენი ნათესავები! — ძლივს წარმოთქვა ღირსმოღობამ.

ეს ხომ გულგანებთქილ მარხასათვის ჭრილობაზე მარილის დაყრას ნიშნავდა. საჩუქრებში აღმოჩნდა კიდევ ორი უშალითო საბანი, ქსოვილის სუთი-ეკესი ნაჭერი, რომელთა მომტანნიც ვერ დაადგინეს. ფიქრებში ჩაიძირა მარხა, შუბლზე ხელი შემოიდო და ჩაიმუსლა. სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, დედამთილს აუბუზღუნდა. არ გასულა დიდი ხანი, რომ ცეცხლმოკიდებულებით წამოვარდა. თითქოს ბაზარზე ნაპოვნი ნივთი სჭეროდა, ხელი აღმართა და წყველა-კრულვის კორიანტელი დააყენა:

— განკითხვის დღეს საფლავიდან არ ამოსულიყოს! ისე ამოწყდეს მისი შთამომავალი, რომ მსხენებელი არავინ დარჩეს! ჯოჯოხეთის ბოძად აქციე, ღმერთო!

მარხა წყველიდა, ვინც პირველად საქორწინო საჩუქარი მოიგონა. ყრუ ნაფისეთი თავს აქნევდა: „იი, კი, ასე რომ იყო, კარგი იქნებოდაო“. ნაფისეთი მარხას სახეს ვერ სედავდა, მისი აზრით, რძალი ვიღაცას აქებდა.

ღირსმოღობამ დაუყვავა ცოლს, განუმედი, არავინ გაიგოს, სირცხვილიაო, მაგრამ მარხა თერგის ნაპარზე ამოვარდნილი ქარივით აშვებულიყო.

— რამდენადაც მახსოვს, შენს წინაპრებს ჩვენთვის არაფერი დაუტოვებიათ, ხომ არ გგონია, ვინც საკაბე მომიტანა, საბანს ვაჩუქებ, ხოლო საბნის მომტანს — ხალიჩას?

ღირსმოღობა გავიდა. ოთახიდან კითხვა კითხვაზე მოისმოდა. საფანგში გაბმულივით დასტოდა მარხა ოთახში, რომელიც საფლავივით ვიწრო ეჩვენებოდა. სულ გადააიწყდა პატარძალი, რომელიც თავისი მოწადინებით შერთო ვაჟიშვილს, დიქაბერს.

ამ ოჯახს რომ ასლა ვინმე სტუმრებოდა, ვერანაირად ვერ იფიქრებდა, აქ ქორწილი იყო. ჭირისუფალივით გულდათუთქული და თოფრამი მარცვალგამოლეული ცხენივით თავჩაქინდრული იდგა მარხა.

ჩეჩნურიდან თარგმნა
როსტომ ფარაულიძემ

ბრძანებასიანად რომელზეც თქმულა

როცა შემხვდება,
 ჰგავს სასრით ნაცემს,
 შურით შეპყურებს
 ჩემს საფრენ სივრცეს!..
 მან მოინდომა,
 ფრთა მომჭრას, დამცეს
 და ჩემი ფრთები, აი, მას მისცეს, —
 ბრძენკაცისაგან რომელზეც თქმულა,
 რომლის ნათქვამიც
 სიმართლეს ფერავს:
 „ის, ვინც მცოცავად დაბადებულა,
 ვერა,
 ვერასდროს
 ვერ შეძლებს ფრენას!“



ცხოვრებისეული ბალადა

„ეცვლი სამოთხიან ბინას ერთ ერთოთახიან და ერთ ოროთახიან ბინაზე“.

ქუჩებში გამოკრული განცხადებებიდან

მათ ერთმანეთი მოსწყინდათ მხოლოდ
 და ერთად ყოფნა მიაჩნდათ ჯვარცმად!..
 და, როგორც ხდება, ბოლოს და ბოლოს,
 არ დათმო ქალმა,
 არ დათმო კაცმა!..
 ერთმანეთის რომ არცა რა ესმით,
 ერთ ჭერქვეშ დღესაც რამდენსა სძინავს!..
 გაიყო გული
 და, როგორც წესი,
 ცივი კანონით იყოფა ბინა!
 რა რჩება ქმრისგან? — დაღლილი სახე
 და ერთადერთი იმედი — შვილი! —
 მას ვეღარავინ დაუგებებს მახეს,
 ცალ უღელს გასწევს,
 სულ ცალად ივლის!..
 მიდის... ან ვინ ვის დაიჭერს ძალით?
 კაცს ეყო სხვისი ტრფობა ფარულად!..
 ვის შეუნახავს ხალთაში ხმალი,
 თივაში ცეცხლი სად დამალულა?!

ბედო, ვის გზებზე ჭაღად ინთები
 ან ვის ჩაუწყვეტ იმედის ფესვებს!
 ბავშვს ესიზმრება მამის თითები,
 მამა კი... უკვე სხვას უაღერებს!..
 განცხადებებს კი აკრავენ ისევ:
 ისმინეთ! — ორად იყოფა ბინა!
 ვკითხულობ, ფიქრებს ვეძლევი მისვე,
 ვკითხულობ, მერე ღამე არ მძინავს!..
 ნუთუ ამდენის შეძლებს ატანას,
 ხომ არ ჩაღობავს მის სავალს ნისლი?!
 ჩოორა გული უთრთის პატარას,
 რადგან არ ძალუძს გაყოფა მისი!..

ჩემი ბილიკი და ბედისწერა


ჩემი ბილიკი
 და ბედისწერა
 მისდევს ძნელსავალ, ეკლიან ფერდობს.
 მას არავისი ქვეყნად არ სჯერა,
 ვინც მე გამიცნო,
 მაგრამ არ მენდო!
 ცხოვრება ისე
 გავლიო, ვინძლო,
 ვხნა ჩემი ახო ჩემი გუთანით.
 ვინც მე გამიცნო, მაგრამ არ მიძმო,
 ვიცი, არა სწამს ძმა საკუთარი!
 ჩემი ოცნებაც
 ლაყვარდში ფრინავს
 და მზესაც გააქვს სულში ღაღანი.
 არა სუყველამ, მიწამა იმან,
 ვინც თვითონ იყო
 სულით მაღალი!
 მართალი სიტყვა
 ხმალივით მშველსი,
 მას მივდევი, როგორც ჩაუქრობ მნათობს.
 არ მეშინია ბოროტი ენის,
 ბოროტი კაცის
 სიტყვა არ მაკრთობს!
 შენ შურით მიმზერ? —
 გაქვს სრული ნება,
 მაგრამ საჯაროდ გეტყვი ამჯერად:
 რომ გძულვარ, ჩემთვის ეს არის შვება
 და ნუგეშია ეს ერთადერთი
 და რომ გიყვარდე, ჩავფვლი სასჯელად!
 მაგრამ...
 ასე არ გამწირავს ღმერთი!

ცხოვრების კანონი

ვინც მწვერვალისკენ მიიწევს ნდომით —
 (ძნელია ეს გზა თავისდათავად!) —
 გზად გადახდება მრავალი ომი
 და ბოლოს მაინც მწვერვალზე ავა!
 და ისიც, ვინც იქ სხვის მხრებით დადგა,
 ისიც, ვის მუნღთა მოუხდა გვემა,
 ძირს ეცემიან, ერთგვარად, რადგან
 ვინც მწვერვალზეა, ძირს ის ეცემა!

ოღითგან ვისგან უტყუარ სიბრძნეს

ოღითგან ვისგან
 უტყუარ სიბრძნეს,
 ამ ნათქვამს მე ვერ გავატან ნიავს:
 — სხვის გაკვალულ გზას მხოლოდ ის
 მისდევს,
 ვისაც თვისი გზა
 არ გააჩნია!
 როცა სხვის გზებზე
 ქარები ქრიან, —
 ის ხან ქირქილებს, ხან იწყებს სიცილს.
 ვიქც თვისი გზა არ გააჩნია,
 გზასა და ღმერთებს
 ადვილად იცვლის!



ვერ გამოვიტოვო,
 ამას რა უთქმის,
 სულ დამეკარვა ხულის სიმშვიდე!..
 სჯობია, სულაც არ გყავდეს ღმერთი,
 ვიდრე დღემუდამ
 ღმერთებს იცვლიდე!

ამოიზრდება სიტყვა,
 ვით ალვა,
 სიმართლე მზისებერ ელვარებს როცა!
 რა ექნა,
 არ მიყვარს
 სხვის გზაზე გავლა,
 არ შემიძლია სხვის ხატზე ლოცვა!

მოდი, მისმინე,
 წამით შეტრდი,
 არ მაქვს სხვა ნატრვა სიტყვაჯავშნიანს,
 არ ღამანახო, ღმერთო, ჩემს გვერდით,
 ვინც თავის დღეში
 ღმერთის ცვლაშია!

ხან ღაწვს ამიწვავს
 ცრუმლების ღვენით,
 ხანაც მზესავით ნათდება მზერას!..
 მე მაქვს ჩემი გზა, მყავს ჩემი ღმერთი,
 სხვის ხატზე ლოცვას
 ვერ შეეძლება, ვერა!

ნატილია კვალდაკვალ

„თბილისში, გლდანის დასახლებაში, საკოლმეურნეო ბაზრის მშენებლობა ჰიანურდება და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით არაოფიციალური ვაჭრობაა გაჩაღებული.“ — სწერდნენ რედაქციას.

თბილისის სახალხო დეპუტატების გლდანის რაისაბჭოს აღმასკომიდან, სადაც წერილი რეაგირებისათვის გადავაგზავნეთ, გვაცნობეს, რომ „გლდანის რაიონში გათვალისწინებულია აიგოს საკოლმეურნეო ბაზრის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი შენობა, ამჟამად მიმდინარეობს მისი დაპროექტების სამუშაოები, წერილში აღნიშნული საკოლმეურნეო ბაზარი დროებითა და მისი მშენებლობის შეფერხება გამოიწვია სამშენებლო მასალების ფონდების ნაკლებობამ. ამჟამად ბაზრის გახსნისათვის საჭირო ყველა სამუშაო შესრულებულია, მიმდინარეობს სათავსოების მოწყობა, რის შემდეგაც უახლოეს მომავალში საკოლმეურნეო ბაზარი დაიწყებს ფუნქციონირებას.

საკოლმეურნეო ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქუჩაში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით კერძო ვაჭრობა ჩვენს მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად შეწყვეტილია.“

მოკალაქა მ. ჯინჭველეიშვილმა რედაქციას მოსწერა, რომ სამტრედიის, ძნელადის ქ. №-4-ში ხის დამამუშავებელი კომბინატის საუწყებო საცხოვრებელ სახლში, ლიფტი არ მუშაობს, ნაგავი დროულად არ გააქვთ და იქმნება ანტისანიტარია, სარდაფში ღვას წყალი, გათბობა არ არის და სასმელი წყლის მოწოდება ხშირად ფერხდება.

ამის თაობაზე სახალხო დეპუტატების სამტრედიის რაისაბჭოს აღმასკომი გვწერს: „განცხადებაში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება, რაისაბჭოს აღმასკომის დავალებით ხის დამამუშავებელი კომბინატის დირექციის მიერ შეკეთებულ იქნა ლიფტი და ამჟამად ნორმალურად მუშაობს. აღნიშნული საცხოვრებელი სახლიდან ნაგვის გატანის საკითხის მოგვარება დაევალა კომუნალურ საწარმოთა კომბინატის უფროსს. მასვე დაევალა კონტროლზე აიყვანოს თბომეურნეობის სამმართველოს მიერ კომუნალურ ბინებში ამჟამად მიმდინარე კაპიტალური რემონტის სამუშაოების მსვლელობა.

ამჟამად დაწყებულია და მიმდინარეობს წულუკიძე-სამტრედიის სასმელი წყლის ახალი ცენტრალური მაგისტრალის მშენებლობა, რომლის საერთო სიგრძეა 13 კმ. ღღისათვის გაყვანილია 7 კმ. ამ სამუშაოების დამთავრების შემდეგ ქალაქში სასმელი წყლის მოწოდების საკითხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.

სამტრედიის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომს ყველა შემოადინებული საკითხი კონტროლზე აქვს აყვანილი.“

რედაქციაში მოვიდა წერილი, სადაც აღნიშნული იყო, რომ თბილისში, ვაზისუბნის დასახლების IV მიკრორაიონში არსებულ სურსათის მაღაზიაში ადგილი აქვს დარღვევებს.

„შემოწმების შედეგად წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა, — გვწერენ სახალხო დეპუტატების გლდანის რაისაბჭოს აღმასკომიდან, — გამოვლინდა მთელი რიგი დარღვევა-დამახინჯებები. მაღაზიის გამყიდველმა მ. ს. ტატულაშვილმა მომხმარებელს ზედმეტი გადახდევინა 19 კაპიკი. მაღაზიაში მატერიალურ ფასეულობათა აღწერის შედეგად გამოვლენილი იქნა დანაკლისი 600 მანეთი. მ. ტატულაშვილის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

მიეცა მითითება რაისურსათვაჭრობის ხელმძღვანელობას, კონტროლზე აიყვანოს აღნიშნული მაღაზიის მუშაობა.“

ელდარ კარაძე

აბარაკზე

ანუ გაბაასება
ლუარსაბ თათქარიძისთან

საუშემ — რვიდან ცხრამდე,
სადიდ-ვახშიმი კიდეც!..
სწორი ყოფილხარ ცამდე,
ლუარსაბ თათქარიძეც!
— მოგვემატაო მალა! —
სიდედრი ეტყვის სიძეს!..
ლომი ყოფილხარ მართლაც,
ლუარსაბ თათქარიძეც!
ქამა — მხოლოდ და მხოლოდ,
ქამა — კიდეც და კიდეც!..
ჰა, დასვენების ბოლოც, —
სიგანედ გვექცა სიგრძეც!..

●
აფერუმ. ნაღლო ლომო,
ლუარსაბ თათქარიძეც!..

ეროვნული
კულტურის
საერთო ფარგლებში
რამდენიმე წიგნზე

ათას ნირის და მოდის
ლექსი მიდის და მოდის!..
ლექსად გვთავაზობს ზოგი
სამოქალაქო კოდექსს!..
ზოგი გვთავაზობს ლექსად
თავის უმწეო ბოდექსს!..
ლექსად გვთავაზობს ზოგიც
ადრე ჩადენილ ცოდვექსს!..
ხოლო ქართული ლექსი,
ჰგოდებს,
ჰგოდებს და ჰგოდებს!..

●
მე კი ვზივარ და ვფიქრობ:
„... ნეტავი იმ დროს, ოდეს...“


ს ე ნ ტ ე ნ ს ი ა ბ ი

- **მეხნიარება** ისე თ სიმაღლეზე ავიდა, რომ მალე ადამიანი შეუიარაღებელი თვალით აღარ გამოჩნდება.
- **ცნობრება** ისე ამაღლდა, რომ კიბით ასვლა აღარავის სურს, ყველა ლიფტით, სარგებლობს.
- **მოღა** ფუფუნების შეილი კი არა, შეილების ფუფუნებაა.


ირაკლი დარჩული

განსაკუთრებით ბევრი საჩივარია ცივი და ცხელი წყლით, ელექტროენერგიით, გაზით მომარაგების, გათბობის გამორთვის გამო და ყოველივე ამას ამბობენ სრულიად კონკრეტული ადამიანები, სრულიად კონკრეტული პიროვნებანი.

ნა. ბ. მორჩაბისა



— ამ ლამის სამ საათზე რამ აამღერა ეს ოჯახი?
— ალბათ ცხელი წყალი მოუვიდათ!



დავით მიხეილის ძე მამულაშვილი
 57 წლისაა (მცხოვრები ქ. ყვარელში, მახარაძის მეორე შესახვევის №9 სახლში), პროფესიით — მცირეგაბარიტიანი ქურდი, მხოლოდ ორჯერ ნასამართლავი. პირველად ქურდობისათვის 5 წლით „დაასვენეს“ შრომა-გასწორების კოლონიაში. სასჯელის მოხდის შემდეგ დაუბრუნდა მშობლიურ ქალაქს. მუშაობა დაიწყო ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. დიდხანს არ გაუგრძელებია პატიოსანი შრომა. ერთ ბნელ ღამეს, როდესაც ყველას ეძინა, დ. მამულაშვილი რატომღაც ფხიზლობდა... იჯდა ოთახში და სარკმლიდან იყურებოდა... მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც შენიშნა ძროხის ლანდი... ცდუნებას ვერ გაუძლო, გავარდა ქუჩაში და მეზობლის ძროხა საკუთარ ეზოში დაკლა. მეორე დღეს აპირებდა ხორცის რეალიზაციას, მაგრამ... ყვარლის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მუშაკებმა ჩაუხამეს სახელდახელოდ ცეცხლზე შემოდგმული ყაურმა!..

შოთა აბესალომის ძე ბახსოლიანი, რკინიგზის გურჯაანის სასურსათო მაღაზიის ყოფილი გამყიდველი, დაბადებული 1956 წელს (მცხოვრები ქ. გურჯაანში, კალინინის ქ. №2 სახლში). შოთამ სასურსათო საქონლის გაყიდვას შეუთავსა ვაჭრობა „ლევად“ ნაშოვნ დეფიციტური სამრეწველო სასპეკულაციო საქონ-


ლისა, რომელსაც მამასისხლად ყიდდა. 30 მანეთად ღირებულ მამაკაცის პერანგში 80 მანეთს, ხოლო მამაკაცის ქურთუკებში ზედმეტად 50-60 მანეთს იღებდა!.. გურჯაანის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში საშუალება აღარ მისცა შ. ბახსოლიანს რეალიზაცია გაეკეთებინა 510 მანეთის დარჩენილი საქონლისათვის. ჩამორთმეული საქონელი ჩააბარა სახელმწიფოს, შოთა ბახსოლიანი კი — ციხეს.

მიხეილ ნიკოლოზის ძე აკოფაშვილი, დაბადებული 1930 წელს (მცხოვრები ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანში). ამბობენ, მიხეილს ბავშვობიდანვე უყვარდა სხვისი ქათმების კოლექციის შედგენა და შემდეგ — რეალიზაციაო. განა სათქმელად ღირს,

მეზობლებს — სონა ინაურს რომ მოპარა 58, თამარ ვარდიცხელს 10 მაგდა იდიძეს 3 ფრთა ქათამი და სხვ. ალბათ შორს წაგვიყვანდა მათი ჩამოთვლა. მოპარული ქათმების მთლიანი ღირებულება შეადგენს 1102 მანეთს. სასჯელსაც ალბათ ამის მიხედვით გაითვალისწინებენ.

თამარ ვალიკოს ასული მაროშვილი ცხოვრობს სიღნაღის რაიონის ს. ტიბანში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 18 წლის გოგომ დაიწყო მუშაობა ბოდბისხევის უნივერსალური მაღაზიის კულტსაქონლის სექციაში გამყიდველად. უხაროდა მაროშვილს, რომ მოტყუებით შოულობდა ფულს გულუბრყვილო მომხმარებლისაგან, მაგრამ ქართული ანდაზისა არ იყოს, კოკამ ერთ დღეს ვეღარ მოიტანა წყალი... სიღნაღის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მუშაკებმა სწორედ მაშინ დააკავეს თამარ მაროშვილი, როდესაც მან პიანინოში მომხმარებელს ზედმეტად გადაახდევინა 168 მანეთი და 25 კაპიკი!..

ჯანსუღ ბიორგელაშვილი



ნახ. 8. აბაშიძისა

უსიტყვოდ



ინფორმაცია



— ყველგან გაიძახი, ქრთამს არ ვიღებო. მე თუ ვიღებ, მგობინარ რამეში თუ?!


გამარჯობა, მართა! ამ წერილს გწერამ მეხუთე პალატიდან. გუშინ აქ გადამიყვანეს და ცოტა გულდაწყვეტილიც ვარ: მე და ვანუა ძმებოვით ვიყავით. ბარე არ მინდოდა, მთავარ ექიმსაც ვთხოვე, აქ დამაყუთ, ნუ გადამიყვანთ-მეთქი, მაგრამ არ ქნა. ვანუა ამოდის ჭადრაკის სათამაშოდ. ოყნას აღარ უკეთებენ, იჩხუბა და იმიტომ. შემოვიდა გუშინ — ერთი აჯამი ექთანს გვყავს — ოყნითა და გადაბრუნდიო, ვანუას ეუბნება. არ გადავბრუნდებიო, — ვანუამ დანიშნული გაქვს და მე ვალდებული ვარ, გაგიკეთო! შეეჯდა ვირზე ვანუა, მომკალით და არ გავიკეთებო! მაშინ მორიგეს დაუძახებო! თუ გინდა, პროფესორს დაუძახეთო! მოვიდა მორიგე. ერთი კვირა, დღეში ორჯერ, თბილ ოყნას მიკეთებენ, აღარ შემძლია მეტო, — ვანუამ უთხრა. გამოჰკითხა ექიმმა რა გჭირსო, ჩახვდა ფურცელში და ამას ნემსები აქვს დანიშნულიო! თურმე ოყნა სხვას ჰქონია დანიშნული და შეცდომით ვანუას უკეთებდნენ, ვანუას ნემსებს კიდევ ერთი კვირა მე მიკეთებდნენ, სულ დამინჯვლიტეს უკანალი საცეროვით მეგ მობუღალეებმა, სკამზე ვეღარ ვჯდებიო.. ახლა ყველაფერი გაირკვა, ოყნას იმას უკეთებენ, ვისაც საჭიროა, ვანუას — თავის ნემსებს, მე კი ვარ ჩემთვის. ერთი, ამით საჭმელს ვერ ვაკარებ პირს, ჩვენებური საშლამა მომენატრა. ვანუას ცოლს ყოველდღე მოაქვს სადილი და ერთადა ვჭამთ. აქ უფრო იმიტომ გადამიყვანეს, რომ გუშინ ფესსადგილში სინათლე არ იყო, წავიქეცი, ფენი ვიდრე და გადამიყვანეს ქირურგიულში, აქ ჩემს გარდა კიდევ სხვითი კაცია. კარგი ჯეელები არიან, მაგრამ ერთი ისე სვრინავს, კოკოზანთ იოსება რომ იცი, მაროს ქმარი, მავასთან მიმიქარამს! მთელი ღამე არ დამაძინა მეგ მობუღალემა. მორიგესა ვთხოვე, სხვაგან გადამიყვან-მეთქი, მაგრამ არ ქნა. ერთმა ჯეელებმა მირჩია, პატივი ეცი, გადაგიყვანს და ყურადღებასაც მოგაქევესო! კუჭი აღარ მაწუნებს, უფრო ღამე ფინთ სიზმრებსა ვხედავ და სშირად მეღვიძება. პროფესორმა მითხრა, ვე ნევროზია, გაეწერები აქედან და შინ ყველაფერი გაგივლისო. ღვიძლიც-მეთქი, და — ღვიძლიცო. ახლა გავივე, თურმე ოპერაციის გაკეთებას მიპირებენ, მაგრამ ცოცხალი თავით არ დაუნებდები, ვინაა ამითი საჯიჯგნი?! გაქცევის გეგმა უკვე შემუშავებული მაქვს.. სხვაფრივ, ყველაფერი კარგადაა, დარდი ნუ გაქვს!

ამ წერილს ვატან მუხიგულაანთ თედოსა და ის გადმოცემს. დიდი მოკითხვით და კეთილი სურვილებით — თქვენი ყვითულა-შვილი ქიტესა ქირურგიული განყოფილების მეხუთე პალატიდან. 26 მეცხრე თვე.

სოლ. ველოვანიძე
ილუსტრაციები ზ. დევისაძისა




— მეგობარო, ორკაპიციანი გექნებათ!..
— ა ძამა, შენ აბაზიანი, არ ვხმარობთ მეგ ორკაპიციანს!



— ექიმო, თუ ღმერთი გწამს, ისეთი წამალი გამომიწერე, აფთიაქში რომ იშოვე-ბოდეს!


732
26. XI 84





ამერიკული ბრიყვი და იაპონური იეროგლიფები

პოლიტიკური ფელეტონი



ბრიყვით — „ს რ უ ლ ი ა დ საიღუმლოდ“ — ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია დიპლომატიური მიკიბ-მოკიბვის გარეშე მოითხოვს იაპონიის მთავრობისაგან თანდგომას მომავალ ბირთვულ ომში. ამ გრიფებს, რომლებიც ავის მომასწავებელი ყორნებით ყრანტალით მოფრინავენ ამერიკიდან, იეროგლიფების ფრთებით მოსავს და მშვიდობის მტრედებად ასაღებს იაპონიის პრემიერი **ი. ნაკასონე**.

ამას წინათ ნაკასონემ მინისტრთა კაბინეტის ფანჯრებიდან კიდევ ერთხელ გამოაფრინა იეროგლიფისფრთიანი მშვიდობის მტრედები — სრულიად უპრინციპოდ უარყო სოციალისტური დებუტატების მოთხოვნა, კანონის ძალა მიეცათ სამი არაბირთვული პრინციპისათვის, რაც ჯერ კიდევ ადრე იყო გამოცხადებული „იაპონურ არაბირთვულ პრინციპებად“.

მინისტრთა კაბინეტმა თავისი რეზოლუციით დებუტატებს აგრძნობინა, რომ პრინციპების უარყოფით იგი ამერიკელების მიმართ უპრინციპო დათმობების გზით მიდის. თუ „იაპონური სამი არაბირთვული პრინციპი“ კრძალავდა ბირთვული იარაღის შემოტანას, წარმოებას ან ფლობას, უპრინციპო დათმობები გულისხმობს ფართოდ გაულოს ქვეყნის ნავსადგურები ამერიკულ ხომალდებს, რომელთა ბორტებზე ფრთოსანი რაკეტებია განლაგებული.

იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი ა ბ ე, ყოველი შემთხვევისათვის, ყლაპავს საგულე აბებს, როცა ბედავს და ამბობს: „ჩემს მოვალეობად ვფვლი, აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების მოდერნიზებული სახაზო გემის „ნიუ-ჯერსის“ და სხვა „ტომაგავეების“ მცურავ სასტარტო მოედნებს ქვეყნის ბაზები დაეუთმო! სწორედ ამ „ტომაგავეებზე“ აგებს რეიგანი პირველი დარტყმის პოტენციის მიღწევის უგუნურ გეგმებს.

ნაკასონემ და აბემ საქმეც მოაყოლეს იაპონელთათვის ასე შემაშფოთებელ ამბებს: ახლახან კუნძულ ხონსიუს ჩრდილო ნაპირებთან, მუცტუს ყურეში, ყურისწამლებად ააქლარუნეს სამხედრო იარაღი იანკებთან ერთად. იაპონიისა და აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ოცდაათზე მეტი გემი დაკვალავდა წყლებს, ხოლო ამდენივე თვითმფრინავი და ვერტმფრენი გამაყრუებელი ღრიალით დაქსელავდა ცას. ამ მრისხანე არმადში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ამერიკული ავიამზიდი „ოკინავა“ ბორტზე განლაგებული ვერტმფრენებით.

ხოლო იეროგლიფებით შებუმბლული მშვიდობის მტრედები (ალბათ ხმაურმა თუ დააფრთხო) ახლომდებარე ცუგარუს (სანგარის) სრუტისაკენ მიფრინავდნენ. აბა, რა იცოდნენ, რომ საომარი „ვარჯიშის“ გეგმაში ამ სრუტის ბლოკირებაც იყო გათვალისწინებული!..

გრიფით — „სრულიად საიღუმლოდ“ — ეს მანერები იხსენიება „განაღმვის ფართომასშტაბურ ოპერაციად“, მაგრამ იგი რომ სინამდვილეში დანადგვაა, ამას არც აშშ-ის სამხედრო ფლოტის მინისტრი ლე მ ა ნ ი მალავს. იგი აცხადებს, რომ „ამ ოპერაციის მიზანია

სრუტების ბლოკირება, რათა საგანგებო ვითარების შემქმნის შემთხვევაში არ გავუშვათ საბჭოთა ხომალდები წყნარ ოკეანეში“.

ლემანის აღიარების გარეშეც იოლი მისახვედრია. რომ ეს პრაქტიკული ნაბიჯები მიმართულია საბჭოთა კავშირისა და ამ რეგიონის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ, იგი ითვალისწინებს აგრეთვე ლაფერუზის, კუნაშირისა და კორეის სრუტეების ბლოკირებასაც. მიზანიც ცხადია — ჩაკეტონ საბჭოთა კავშირის საზღვაო ძალები იაპონიის ზღვაში!..

აქ იაპონელებმა ერთხელ კიდევ შეახსენეს ნაკასონეს, ამერიკელებს თავს ნუ აწონებ, ეგ ზრახვა ერთხელ კიდევ აწონ-დაწონე, რადგან ასე უთავბოლოდ იარაღის ჟღარუნი ომის ღრუბლებს აგროვებს იაპონიის თავზე, ასეთი ღრუბლების ნაწვიმარზე კი სოკოები ჩნდება, უბრალო კი არა, ატომური სოკოები, რომელთა გემო ისევ ახსოვს ხიროსიმას და ნაგასაკსო!..

ამის გამგონე შეჩქვიფდა ნაკასონე და მალულ გახედა თავის ამფსონებს. შელონდა აბეც, უწინდებურად ვეღარ გალობს საომარ დითირამებებს.

ღიახ, განაჩენივით ჟღერს საზოგადოებრივი აზრი. ასე რომ, ყოველი ზრახვა, აშშ-დან გამოტყორცნილი აზიაში „საიღუმლო“ გრიფით, ამოდ ლამობს დამალოს თავი იაპონური იეროგლიფით!





ნიანგი
 ჰუმორისტული
 სატირისა და იუმორის ქუ-
 რხალი „ნიანგი“ № 21
 (1679) ნომერბერი. გამო-
 დის 1923 წლის ივნისიდან.

**მთავარი რედაქტორი
 ზაურ გოლგვაძე**

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი
 (პასუხისმგებელი მდივანი).
 ჭაბუა ამირჯიბი, ნოზადი
 ბართაია, ბორის გურგუ-
 ლია, რევაზ თვარაძე, ჯე-
 მალ ლოლუა, ნოდარ მაღა-
 ზონია (მხატვარ-რედაქტო-
 რი). ალექსანდრე სამსონია,
 ზეჟან ხიხარულიძე (მთავარი
 რედაქტორის მოადგილე),
 ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ
 წიგწივაძე, ნაფი ჯუსიოთი.

**ტექნიკური რედაქტორი
 მისიელ კუხალაშვილი**

გაღიდა ასაწყობად 9. 10.
 84 წ. ხელმოწერილია დასა-
 ბეჭდად 14. 11. 84 წ. ქალა-
 დის ზომა 60 X 90¹/₈
 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცე-
 ლი 1,25, სააღრიცხვო-საგა-
 მომცემლო თაბახი 1,7. სა-
 ქართველოს კვ ცკ-ის გა-
 მომცემლობა, ლენინის, 14.
 შეკვეთა № 2268 უე 06599
 ტირაჟი 142 000. ეურნალი
 გამოდის თვეში ორჯერ.
 რედაქციაში შემოსული მა-
 სალები ავტორებს არ უბ-
 რუნდებათ.

**ჩვენი მისამართი: 880008,
 თბილისი-8, რუსთაველის
 პროსპექტი № 42.**

ტელეფონები: მთავარი
 რედაქტორის — 99-55-54,
 მთ. რედ. მოადგილის —
 93-19-42, პ/მგ მდივნის —
 93-10-78, მხატვარ-რედაქ-
 ტორის — 99-02-38, გან-
 ყოფილებათა გამგეების —
 93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
 მუშაეების — 99-02-38,
 მდივან - მეზანჯანის —
 99-76-69.

სატირიკო - ჟუმორისტичე-
 სკიი ჟურნალ «НИАНГИ»
 (На грузинском языке)
 Тბილისი, პრ. რუსთაველი
 № 42. Издательство ЦК
 КП Грузии, Типография
 издательства ЦК КП
 Грузии, Тბილისი, улица
 Ленина № 14.

ზანი 20 კაპიტი
 05დგპნი 76137

— რომ მიჩვივით, თავმჯდომარეს კაბინეტის კარი ჩაკეტილი
 აქვსო, აა ბატონო, გავაღე კარი და თუ ვაშუკაცები ხართ, შემოვბ-
 კანდით!

**КОНТРОЛЬНЫЕ
 ЭКЗЕМПЛЯРЫ**

